

სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის წესები

I. ზოგადი განმარტებები.

1. სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკა (შემდგომში – პრაქტიკა) არის ბაკალავრიატში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი; იგი ტარდება სასწავლო გეგმების სტრუქტურის ფორმატში დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად.
2. წინამდებარე წესები განსაზღვრავს ბაკალავრიატის სტუდენტთა მიერ პრაქტიკის გავლასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო და მეთოდურ საკითხებს.
3. ბაკალავრიატის სტუდენტები პრაქტიკებს გადიან ბაკალავრიატის მიერ შეთავაზებულ და/ან სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად წარმოდგენილ ორგანიზაციაში;

II. საწარმოო პრაქტიკის მიზანი და შინაარსი

1. სტუდენტთა პრაქტიკის მიზანია სპეციალობის შესაბამისად კოლეჯში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში (საქმეში) განმტკიცება, პროფესიული უნარ-ჩვევების და დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების მიღება.
2. პრაქტიკის შინაარსი განისაზღვრება პრაქტიკის პროგრამით, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:
 - სტუდენტის ინდივიდუალური დავალების შინაარსი და ვადები;
 - პრაქტიკის მიზნები–სპეციალობის, სპეციალიზაციის და სწავლების შემდეგი საფეხურების გეგმებისა და პროგრამების გათვალისწინებით.
 - პრაქტიკის ადგილი და პრაქტიკის გავლის თანმიმდევრობა დროის ფორმატში;
 - პრაქტიკის კონტროლის სახეები;
 - სტუდენტთა მიერ პრაქტიკის ანგარიშების მომზადების და დაცვის ვადები;
3. პრაქტიკების ობიექტები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის მიერ.

III. საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა

1. პრაქტიკის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება; კონკრეტულად ის ასრულებს:
 - პროგრამული მიმართულებების კოორდინაციას (ფაკულტეტებზე პრაქტიკების ჩატარების ორგანიზაციის მონიტორინგს, ბრძანებების პროექტების მომზადებას და სხვა);
 - პროგრამულ მიმართულებებში უზრუნველყოფას პრაქტიკისათვის აუცილებელი დოკუმენტაციით (პრაქტიკის ინდივიდუალური დავალებების გეგმები, პრაქტიკის ანგარიშების ფორმები და სხვა);
 - კოლეჯის დირექტორთან მიმდინარე სასწავლო წლის პრაქტიკის ანგარიშის მომზადებას და წარდგენას.
2. ფაკულტეტებზე პრაქტიკის ორგანიზაციულ მხარესა და ჩატარების ეფექტურობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრაქტიკის ხელმძღვანელს;
3. პრაქტიკის ჩატარების ორგანიზაციაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯი დირექტორს.

IV. კოლეჯიდან საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი

1. პრაქტიკის დაწყებამდე პრაქტიკის ბაზაზე ეწევა მოსამზადებელ სამუშაოს სტუდენტ-პრაქტიკანტთა მისაღებად.
2. აკონტროლებს პრაქტიკანტი სტუდენტების მიერ შრომის შინაგანაწესის შესრულებას.
3. ამყარებს მჭიდრო კონტაქს პრაქტიკის ბაზიდან დანიშნულ ხელმძღვანელთან;
4. კონტროლს უწევს სტუდენტების პრაქტიკის ადგილზე დროულად გამოცხადებას და განსაზღვრული ვადების დაცვას.
5. იღებს მონაწილეობას პრაქტიკების დაცვის კომისიის მუშაობაში.
6. შეაქვს შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასების წიგნაკში.
7. იხილავს სტუდენტთა პრაქტიკის ანგარიშებს, აძლევს შეფასებას მათ სამუშაოს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს წერილობითი სახით წარუდგენს ანგარიშს პრაქტიკის ჩატარების თაობაზე, შენიშვნებს და წინადადებებს-პრაქტიკის ჩატარების სრულყოფისათვის.
8. ყველა სამუშაოს ასრულებს წარმოება-დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პრაქტიკის ხელმძღვანელთან მჭიდრო კავშირში.

V. საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან დანიშნული ხელმძღვანელი

1. ახორციელებს სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებას-პრაქტიკის პროგრამის და გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სტუდენტ-პრაქტიკანტებს უწევს კონსულტაციებს პრაქტიკის პროგრამის შესასრულებლად.
2. ხელმძღვანელობს სტუდენტთა ყოველდღიურ მუშაობას;
3. თითოეულ სამუშაო ადგილზე სტუდენტებს უქმნის უსაფრთხო მუშაობის პირობებს.
4. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, ადგენს თითოეული სტუდენტი-პრაქტიკანტის დახასიათებას.

VI. სტუდენტი-პრაქტიკანტის უფლება-მოვალეობები

სტუდენტი-პრაქტიკანტი ვალდებულია:

1. სრულად შეასრულოს პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული დავალება.
2. დაემორჩილოს პრაქტიკის ობიექტის შინაგანაწესს.
3. შეისწავლოს და მკაცრად დაიცვას შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო-სანიტარული პირობები.
4. აწარმოოს დღიური, რომელშიც შეტანილი უნდა იქნას ციფრობრივი მასალები, ლექციების და საუბრების ტექსტები, ჩანახატები ნაწილების ესკიზებისა და სხვა.
5. პრაქტიკის ხელმძღვანელს წარუდგინოს პრაქტიკის პერიოდში ყველა შესრულებული დავალების წერილობითი ანგარიში.
6. სტუდენტი-პრაქტიკანტი პრაქტიკის დამთავრებისას ადგენს წერილობით ანგარიშს და დღიურთან ერთად აბარებს აკადემიიდან პრაქტიკის ხელმძღვანელს. ანგარიშზე უნდა იყოს პრაქტიკის ბაზიდან გამოყოფილი ხელმძღვანელის ხელმოწერა. პრაქტიკის ანგარიში უნდა შეიცავდეს ცნობებს სტუდენტის მიერ პრაქტიკის პერიოდში კონკრეტულად შესრულებული სამუშაოს შესახებ, ასევე, პრაქტიკის მოკლე დახასიათებას, დასკვნებს და წინადადებებს.

7. ანგარიშის გასაფორმებლად სტუდენტს პრაქტიკის ბოლოს გამოეყოფა 2-3 დღე. პრაქტიკის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იცავს პრაქტიკის ანგარიშს აკადემიური შეფასებით.
8. კომისიის შემადგენლობაში შედიან - იმ საგნის პედაგოგი, რომელშიც ჩატარდება პრაქტიკა და პრაქტიკის ხელმძღვანელი პრაქტიკის ბაზიდან.
9. სტუდენტი, რომელიც ვერ შეასრულებს პრაქტიკის პროგრამას, მიიღებს უარყოფით შეფასებას პრაქტიკის დაცვისას, ხელახლა იქნება მივლინებული პრაქტიკის გასავლელად, ფინანსური ხარჯების დამატებითი გადახდის ფორმით.

დასკვნა: სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის წესებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

საწარმოო პრაქტიკის დღიური

ტერმინთა განმარტება

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი - კოლეჯის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოო პრაქტიკის განხორციელებაზე. ეხმარება სტუდენტებს პრაქტიკის პროცესში, რაც მოიცავს ასევე პრაქტიკის ადგილზე სტუდენტებთან ვიზიტს.

სწავლის შედეგი - სწავლის შედეგები არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს და/ან რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები განისაზღვრება როგორც მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე მისი შემადგენელი ნაწილებისთვისაც.

საწარმოო პრაქტიკა - სასწავლო პროცესის ნაწილი კოლეჯის ფარგლებს გარეთ, რომლის სწავლის შედეგები წარმოადგენს სდაგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შემადგენელ ნაწილს.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტი - საწარმო (ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად), რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკის განხორციელებას.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან დანიშნული ხელმძღვანელი - საწარმოს მხრიდან დანიშნული პირი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოში სტუდენტთა ზედამხედველობაზე.

პრაქტიკანტი _____

ფაკულტეტი _____

სპეციალობა _____

კურსი _____

საკონტაქტო ტელეფონი _____

საწარმოო პრაქტიკის ობიექტი

საწარმოო პრაქტიკის ვადა

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი

საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან დანიშნული ხელმძღვანელი

კოორდინატორი

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი _____

პრაქტიკანტის სამუშაო გეგმა

შესასრულებელი სამუშაო

შესრულების თარიღი

თარიღი	შესასრულებელ სამუშაოთა მოკლე შინაარსი	ხელმძღ. ხელმოწერა
1	2	3

კომენტარი -დასკვნა

1. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:
2. საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან დანიშნული ხელმძღვანელი:

საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის თავფურცელი (ნიმუში)

კოლეჯი
ფაკულტეტი/სპეციალობა

საწარმოო პრაქტიკის ანგარიში

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ადგილი:

საწარმოო პრაქტიკის ვადები: _____ 201 წ. _____
_____ 201 წ.

სტუდენტის სახელი, გვარი: _____

საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელი:

საწარმოო პრაქტიკის ობიექტიდან დანიშნული ხელმძღვანელი:

საწარმოო პრაქტიკის ანგარიში (ნიმუში)

1. თავფურცელი

კოლეჯი

პრაქტიკის განმახორციელებელი საწარმოს/ორგანიზაციის დასახელება;

პრაქტიკის დაწყებისა და დამთავრების თარიღი;

სტუდენტის სახელი და გვარი;

2. რეზიუმე

საწარმოო პრაქტიკის ანგარიშის ერთგვერდიანი შეჯამება.

3. სარჩევი

4. საწარმოს/ორგანიზაციის აღწერა

ანგარიშის ეს ნაწილი უნდა ასახავდეს შემდეგ ინფორმაციას:

4.1. საწარმოს/ორგანიზაციის სრული დასახელება, მისამართი და მოკლე ისტორია.

4.2. საწარმოს/ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საკუთრების ფორმა

4.3. სფერო, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო/ორგანიზაცია; წარმოებული პროდუქცია და/ან მომსახურება, ძირითადი მომხმარებლები/

4.4. საწარმოს/ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა (სქემა)

4.5. უსაფრთხოებისა და ეთიკის ნორმების რეგულირება

5. საწარმოო პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი ანგარიშის ძირითადი ნაწილი. მასში უნდა აისახოს განხორციელებული საქმიანობა და ამ პროცესში დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის გზები. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

5.1. რა ფუნქციას ასრულებდით პრაქტიკის დროს?

5.2. საწარმოო პრაქტიკის კურსით დაგეგმილი (ან დაუგეგმავი) რომელი უნარები შეიძინეთ და/ან განივითარეთ პრაქტიკის პროცესში?

5.3. რამდენად შეესაბამებოდა საწარმოო პრაქტიკის დროს თქვენს მიერ განხორციელებული საქმიანობა თქვენს მიერ მანამდე გამომუშავებულ დარგობრივ და ტრანსფერულ კომპეტენციებს (აქ სტუდენტმა შეიძლება გადმოსცეს ის სიახლეები, რომელსაც გაეცნო პრაქტიკის პროცესში)?

5.4. თქვენი აზრით, რა გავლენას მოახდენს საწარმოო პრაქტიკა თქვენს სამომავლო კარიერულ გეგმებზე?

6. დასკვნები

მოიცავს საწარმოო პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს და ზოგად დაკვირვებას პრაქტიკის ობიექტზე.

7. დანართი

გრაფიკები, ცხრილები, სურათები და ა.შ.